03.07.2023წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

I. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის N1085 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით და წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებით:

II. ზუსტდება შემოსულობები და ხდება 27 077 792 ლარი:

1. ზუსტდება გრანტები და ხდება 7 434 386 ლარი.
2. ზუსტდება სხვა შემოსავლები და ხდება 1 000 000 ლარი.

III. მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილება განისაზღვრება - 5 605 951 ლარის ოდენობით.

IV. იზრდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 1 245 699 ლარით და ხდება 32 683 744 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვრება 17 698 390 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვრება 2 073 805 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 4 535 877 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღრება 2 070 972 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვრება 1 357 500 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

V. შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

VI. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2023 წლის ივლისის თვის პირველი დეკადა.

VII. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი: /გიორგი მანგოშვილი/

დანართი

N	ნორმატიული აქტი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილებრივი ბიუჯეტი
1	N1085	საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსები) შესყიდვა	687000	137400	549600
2		სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა	18008		18008
3		სოფ.ხოშატიანში მოსაცდელის მოწყობა	10844		10844
4		სოფ.გვიმრიანში სასოფლო-სამეურნეო გზის მოხრეშვა	67038		67038
5		სოფელ ჰერეთისკარში შიდა გზების რეაბილიტაცია	634000		634000
6		საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	100000		100000
7		საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა	100000		100000